ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1550066

ნომერი: AR1259047

თარიღი : 18.10.2014

გაცემის თარიღი : 22.10.2014

გაცნობის თარიღი : 22.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის, (ნაკვ. 14/151) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა დადუანი პ/ნ 62004012475
- გულრიფში ს. ვარჩე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: წარმოდგენილი სახით ფასადის რეკონსტრუქცია მიუღებელია.საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების რაოდენობის და გაბარიტების შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება.

მოეწყოს სადა ფერის საჩრდილობელი. "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში დაკონკრეტდეს სარეკონსტრუქციო შენობის ნუმერაცია საკადაასტრო გეგმის მიხედვით და იმ შემთხვევაში თუ სარეკონსტრუქციო ფასადი განლაგებულია საკადასტრო საზღვარზე, საჩრდილობლის მოწყობისას გასათვალისწინებელი იქნება შემდეგი: დაუშვებელია სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში, გრუნტის ზედაპირიდან 2,7 მ-მდე სიმაღლეზე შეჭრა 0.3 მ-ზე მეტად; ხოლო 2.7 მ-დან 4.5 სიმაღლეზე დროებითი მსუბუქი კონსტრუქციების, ფარდულების, ტენტების, მარკიზების შეჭრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ასეთ არქიტექტურულ ნაწილებამდე, გასავლელის სიგანე გაუტოლდება მინიმუმ 0.8 მ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად უნდა წარმოადგინოთ განახლებული, კარგი ხარისხის, რეალურ მდგომარეობასთან მისადაგებული ფოტომონტაჟი. განახლებულ მონტაჟზე დატანილი უნდა იყოს ყველა სარეკონსტრუქციო დეტალის გაბარიტული ზომა და მასალა.

ასევე "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში უნდა მიუთითოთ დეტალური ინფორმაცია სარეკონსტრუქციო სამუშაოების თაობაზე და განაცხადის განმეორებით რეგისტრაციისას, თქვენს მიერ შერჩეულ ნომენკლატურასთან ერთად დამატებით შესარჩევი იქნება: "I კლასი" - "საჩრდილობლის მოწყობა" - "რეკონსტრუქცია" და "I კლასი" - "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი" - "რეკონსტრუქცია". აღნიშნულის განსახორციელებლად უნდა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.